



თბილისი

ქართველი და უცხოელი
მხატვრების შემოქმედებაში

TBILISI

in the Works of Georgian
and Foreign Artists

თბილისი

ქართული და უცხოელი
მხატვრების შემოქმედებაში

TBILISI

in the Works of Georgian
and Foreign Artists

გაბრიელ ვახტანგ
ვახტანგის ანბანების გამოცემა
ალბომისა და გამოფენის განხორციელებას მხარი დაუჭირებს:



The publication of the album and the arrangement of the exhibition was made possible through the support provided by



ფონდი "ლია საზოგადოება - საპროექტო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
The Ministry of Culture, Monument Protection and Sport of Georgia



გაერთიანებული ქართული ბანკი
UNITED GEORGIAN BANK



თბილისის მერიის კულტურის, სპორტის,
ტურიზმისა და ახალგაზრდობის
საქმეთა საქალაქო სამსახური
Tbilisi City Municipality Service of Culture,
Sports, Tourism and Youth

THM Karvasja Gallery

ალბომი გამოსცეს მაია ციციშვილმა და ნინო ჭოლოშვილმა
ტექსტი: მაია ციციშვილი
ანოტაციები: ნინო ჭოლოშვილი
რედაქტორი: მარიკა ერქომაიშვილი
ფოტოგრაფი: ქუცნა ამირეჯიბი
მთარგმნელი: ნინო მატარაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი: ალექსი კახნიაშვილი და „ო.ს. დიზაინი“

Editors: Maia Tsitsishvili and Nino Tchogoshvili
Text by: Maia Tsitsishvili
Annotations by: Nino Tchogoshvili
Georgian text edited by: Marika Erkomaishvili
Photography by: Kutsna Amirejibi
Translated from Georgian by: Nino Mataradze
Computer services and design by: Alex Kakhniashvili and O.S. Design

ალბომის ავტორების მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი ან მივიწყებული მხატვრებისა და ნამუშევრების წარმოდგენა. ქართველ და უცხოელ მხატვართა ნაწარმოებები ძირითადად შეიკრმა ქ. თბილისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმისა და შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდებიდან.

მუშაობის პროცესში განეული დახმარებისთვის გამომცემლები მადლობას უხდებიან ქ. თბილისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებს ქ-ნებს: ლიკა მამაცაშვილსა და ნანა მახათაძეს; შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებს ბ-ნ გიორგი მარსაგიშვილს, ქ-ნებს: ეთერ შელიას, იზოლდა ქურდაძესა და ნუნუ კორძაბიას. ასევე ბ-ნ დიმიტრი თუმანიშვილს, ბ-ნ ზურაბ მატატაშვილს, ბ-ნ მალხაზ იაშვილს, ბ-ნ მალხაზ ებრალიძეს, ბ-ნ დიმიტრი ცუცქირიძესა და კოტე ციციშვილს.


The purpose of this publication is to bring to light the less known or forgotten artists and works. Most of the pieces presented were selected from the collections stored in the depositories of the State Museum of Tbilisi History and the Amiranashvili State Museum of Fine Arts of Georgia.

The editors express their sincere thanks to Ms Lika Marnatsashvili and Ms Nana Makhatadze, employees of the State Museum of Tbilisi History; Mr. Giorgi Marsagishvili, Ms Eter Shelia, Ms Izolda Kurdadze and Ms Nunu Kordzakhia, employees of the the Amiranashvili State Museum of Fine Arts of Georgia. Special thanks are also due to Mr Dimitri Tumanishvili, Mr Zurab Matatashvili, Mr Malkhaz Iashvili, Mr Dimitri Tsutskiridze and Mr Kote Tsitsishvili.

ISBN 99940-0-142-6

© M.Tsitsishvili, N. Tchogoshvili

F6540



თბილისი ქართველი და უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში 1850-1940

ყოველ ქალაქს ისევე, როგორც ცალკეულ ერს ან პიროვნებას თავისი განუმეორებელი ბიოგრაფია აქვს. ისტორიული კატაკლიზმები წარუშლელ ნაკეალევებს ტოვებს ნებისმიერი ქალაქის როგორც გარეგნობაზე, ისე მისი მოსახლე ხალხის ფსიქიკურ ნყოფასა თუ ეროვნულ ხასიათზე. თუკი კარგად ჩაუკვირდებით თბილისის თუნდაც დამკვიტვრულ სახეს ან კოლორიტულ გამას, უთუოდ ბევრს ამოიკითხავთ ქართველთა შინაგან ბუნებასა და თავისებურებებზე.

თბილისი – ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარე ქალაქი, ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. უნიკალურმა გეოპოლიტიკურმა განლაგებამ იმთავითვე განსაზღვრა მისი იღბალი თუ უიღბლობა. აბრეშუმის გზა, რომელიც აქ გადიოდა, დასავლეთსა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი საქარანე მარშრუტი, სახმელეთო მაგისტრალი რუსეთსა და მახლობელ აღმოსავლეთის შორის ყველა დროში ერთნაირად იზიდავდა დამპყრობელს – რომაელს, ბიზანტიელს, არაბს, თურქ-სელჩუკს, ხვარაზმელს, სპარსს თუ მონღოლს... ყოველმა ისტორიულმა ეპოქამ, თითოეულმა ეთნიკურმა ჯგუფმა თავისი წარუშლელი კვალი დააშინა საქართველოს ყოფით ჩვენებს, ადია-ნესებს, ენასა თუ კილოვებს, ქართველთა გარეგნულ იერს, ტემპერამენტს თუ ზოგადად, კულტურას. თბილისი, რომელიც თექვსმეტსაუკუნეოვანი არსებობის მანძილზე მრავალჯერ გასწორდა მიწასთან, კვლავაც ჯიუტად შენდებოდა და ზაინც ინარჩუნებდა თავისი ეროვნული ხასიათის უმთავრეს ნიშნებს. ამის ძირითადი საფუძველი კი, როგორც ჩანს, ქართველთა თავისებური ფსიქიკური ნყოფა გახდა. ქართველს აღმოაჩნდა უნარი, მიეღო, მოეთმინა, აეტანა სრულიად განსხვავებულ კულტურათა თავისებურებანი და შეეცდებინა იგი სასუთართან. თავისებური გახსნილობა, უცხო ტრადიციების მიღების, გადამუშავების, გათავისებისა და სინთეზის უნარი აღმოჩნდა ის უმთავრესი მახასიათებელი, რაც ზოგადად ქართული კულტურის სოლიდურობას დაეფუძვლა. თბილისის სიკოცხლისუნარიანობაც, პირველ რიგში, სწორედ ამით იყო ნასაზრდოები.

ერთ სივრცეში მოქცეული აღმოსავლეთი და დასავლეთი, დამეტრალაზმად განსხვავებულ კულტურათა თანარსებობა... უცხოელ დამთავლიერებელს ყველაზე მეტად სწორედ ეს ხედებოდა თვალში... ნამდვილად ჰქონდა ამ ქალაქს რაღაც

სრულიად განუმეორებელი, თვითმყოფადი, თავისებური, უცხოთათვის არცთუ ბოლომდე გასაგები და ცხოველი ინტერესის აღმძვრელი...

თბილისის არცერთი მოგზაური, მკვლევარი თუ ხელეწილი არ დაუტოვებია გულგრილი. ბევრი ცდილობდა მის ხასიათში ჩანვლდომას, შესწავლას, შეფასებას. საამისოდ ზოგი საწერ-კალამს ამჯობინებდა, ზოგიც – ფუნჯსა თუ ფანქარს. პ. დე ტურნეფორი, ე. შარდენი, მ. ლერმონტოვი, მ. ივანოვი, ნ. ჩერნიცოვი... XVII საუკუნეიდან მოყოლებული, თბილისი არაერთმა ცნობილმა მეცნიერმა, მოგზაურმა თუ ხელოვანმა მონახულა და აღბეჭდა. რუსეთის იმპერიასთან საქართველოს შეერთების შემდეგ, განსაკუთრებით იმატა მათმა რიცხვმა, ვისაც ეკლებდა ცნობილი, ძველი კულტურის მქონე ეგზოტიკური ქვეყნის გაცნობა სურდა. საქართველოში, „სამხრეთის ციმბირში“, იძულებით გადმოსახლებულთა გარდა, ამ უცნაური ქვეყნის უკეთ გასაცნობად მიზანმიმართულად ჩამოსული უცხოელებიც მრავლად იყვნენ.

XIX საუკუნის 50-იან წლებში „გვიან რომანტიკოსებად“ წოდებულმა ევროპელმა მხატვრებმა გეზი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა რეგიონისკენ აიღეს. მათ უმთავრეს მიზანს ეგზოტიკური ბუნებისა და ყოფის მონახულება წარმოადგენდა. 1852 წელს პეტერბურგის გავლთი თბილისში გერმანელ მხატვრთა წყვილი – პაულ ფონ ფრანკენი და პელენე ფრანკენი – ჩამოვიდა. პაულ ფონ ფრანკენი, ანუ „კავკასიის მხატვარი“, როგორც ის სახელწოდებით მოცდენო ლიტერატურაში მოიხსენიება, საქართველოში 1860 წლამდე დარჩა.

...1795 წლის 10 სექტემბერს თბილისის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ფურცელი ჩაიწერა. საქართველოს დედაქალაქს ალა მამად ხანი მოადგა. „ტიფლისი დედაბუდიანად განადგურდა. ყველა სახლი და ხიდი გადაწვეს... მთელ გარეუბანში მხოლოდ თავად ბუბუთოვის სახლი გადაურჩა ცეცხლს. ექვსი ეთნის განწვლილობაში ძარცვადნენ სპარსელები ქალაქს...“ (ნ. დებროინი, XIX ს.). ერთადერთი შემორჩენილი ფერწერული ტილო, რომელიც ახხრებულ თბილისს ასახავს, პაულ ფრანკენს ეკუთვნის. რომანტიკული მხატვრობის ტიპურ წარმომადგენელს უმთავრესად შორიდან დანახული სივრცე და ბუნება აინტერესებს. მხატვარი ყურადღებას, ძირითადად, სურათის ცენტრალურ, ყველაზე კონტრასტულად წარმოდგენილ ნაწილს უთმობს – გადამწვარი ქალაქიდან ავარდნილი კვა-




პ. ფრანკენი, „თბილისი. სავაჭრო რივი“, ქ., ფ., XIX ს-ის 50-იანი წლები
P. Franken, Tbilisi. Trade Row, pencil on paper, the 1850s

მლი ნათელ, უღრუბლო ცაში იჭრება. გადაბუგული ქალაქის ტრაგიკულ, მშფოთვარე განწყობილებას იგი ქაოტური მონასმებით, ერთმანეთში შეღწეული, არეულ საღებავთა მსუყე ღრუბლისმაგვარი მასით გამოხატავს. მიზეზი კი ტრაგედისაა, რომელმაც ბუნებაც კი ააფორიაქა, არის ის, რაც უღრუბლო ცის ქვეშ, დედამიწაზე ხდება. კონტრასტულია მდინარით ორად გამიჯნული გარემო, გადამწვარი, თითქმის გამაგებული მთების ფონზე აღმოცენებული ქალაქი და უფრო ფერწერულად, ხალისიანად დანერვილი ქალაქიდან თავდაღწეულ ადამიანთა ჯგუფები. ცასთან შედარებით, აქ ყოველივე ნაკლებად ემოციურია და მღელვარე.

ფრანკენის მიერ ფანქრითა და აკვარელით შესრულებული თბილისური სახლებისა და ეთნოგრაფიული დეტალებით დატვირთული სახელოსნოების ამსახველი ნახატების ერთ ჯგუფი განსაკუთრებით გამოირჩევა დახვეწილი სტატობით. მხატვარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამა თუ იმ ობიექტის კომპოზიციურ გადაწყვეტას. მათ მომგებიან ნარმოყენას. იგი ფანქრით, მსუბუქად, საკმაოდ გულდასმით გადმოსცემს მისთვის საგულისყურო გარემოს, ხოლო მონაკვეთებს, რომლებზეც ყურადღების გამახვილება სურს, სხვადასხვა ფერის აკვარელის ფაქიზი აქცენტებით გამოჰყოფს. შეუმწვევლად მონიშნული, ფერმკრთალი გარემო, რომლის არარსებობა ნარმოყვადგენილია რომანტიკოსი მხატვრისთვის და რომელიც ყოველ ნამუშევარში კონკრეტული განწყობილების შემქმნელია, ნარმოკვიდგენს განაფული ხეის და საკმაოდ დახვეწილი გემოვნების მქონე მაღალი რანგის მხატვარს. ერთიანი მხატვრული სტილისა და მსოფლმხედველობის მიუხედავად, მისი ნაწარმოებები, გადაწყვეტის მხრივ, ერთმანეთისაგან მანძი განსხვავდება. როგორც ჩანს, ევროპიდან მიზანდასახულად ჩამოსულ მხატვარს აქ, მისი თვალ-

თახედვით, არაჩვეულებრივი გარემო დახვდა. ზოგჯერ იგი თბილისს მხოლოდ აღმოსავლურ ქალაქად ხედავს, მისთვის არსებითი მახასიათებლებით, ხანაც თბილისი რომელიღაც სამხრეთ ევროპულ ქალაქს მოგვაგონებს. ამ ნამუშევრებში ფრანკენი თითქმის უფრო თავისუფალია, ნაკლებად დამოკიდებული რეალურ გარემოზე, ან უფრო ზუსტად, სწორად რეალობა აძლევს მას იდეალიზაციის, გამნიშვნელოვნების, ერთგვარი ზღაპრულობის, ამაღლებული განცდის ნარმოყენის საშუალებას. მისი მსოფლმხედველობა ხომ სუბიექტური აღქმის გამძაფრებას იმთავითვე გულისხმობს.

თბილისის ვრცელი პანორამა ფრანკენის დიდი ზომის ფერწერულ ტილოზე „თბილისი XIX საუკუნის შუახანებში“ შედარებით უფრო ზუსტია და დაკონკრეტებული. ექვგარემოა, რომ ამ შემთხვევაში მხატვარი იმდროინდელი თბილისის ზედმინეწით მართალი ხატის შექმნას ეცადა. მის მზერას არ გამოირჩენია მტკვრის ორივე ნაპირზე, მაღალი მთების გარემოცვამი გაშენებული ქალაქის არცერთ მნიშვნელოვანი ნაგებობა: შუა საუკუნეების ნარიყალის ციხის ახლოს თეთრი მისკითია მინარებით, უფრო ქვევით - საონისა და მეტეხის ტაძრები, წინ - სეიდაბადის აბანოები, ახლად გაიწილი ევროპული სახლები და ქარვასლა, სულ წინა პლანზე კი ტიპური ბანიანი სახლები რიკულებიანი აივანებით. სწორედ აქ ნარმოკვიდგენს მხატვარი ქართველების ყოფას, მათ თავისებურ დროსტარებას, ეთნოგრაფიული დეტალების მიუღ რიგს. ქალაქის სრულყოფილად დასასასიათებლად იგი მზით განათეულ, უღრუბლო დღეს ირჩევს, როდესაც უკეთესად ჩანს დათოლილი კავკასიონით ჩაკეტილი მტკვრის უკიდგვეს ხეობა და შუქჩრდილის მონაცვლეობით აქცენტირებული ქალაქის მნიშვნელოვანი ნაგებობები.



გერმანელ მხატვარს ე. ბერგენს კი, 1876 წელს დახატული სურათში, სადაც ამაღლების ქუჩის ნაწილია ასახული, უფრო საინტერესოდ ერთი ტიპური ბანიანი სახლისა და იქ გამართული ცეკვა-თამაშის ჩვენება მოაჩინა. ფრანკენისაგან განსხვავებით, ბერგენის სახლი, თითქოს უფრო ბუნებრივია და ნაკლებად შელამაზებული. იგი საკმაოდ გულდასმით გადმოვცემს იმდროინდელ თბილისში ყველაზე მეტად გავრცელებული საცხოვრებელი სახლის ტიპს, ერთმანეთზე განთავსებულ, უბრალო, ნახევრად მინურ ნაგებობებს, სადაც ქვედა სახლის სახურავი ზედა ეზოს წარმოადგენს. ასეთივე გულმოდგინებითაა წარმოდგენილი იქვე, უზომო მიმოხილული საყოფაცხოვრებო ნივთები, იარაღები და ეთნოგრაფიული დეტალები. ამგვარი სახლის ბაზზე მოცეკვავე კიხვა, ლამაზ კაბებით გამოწყობილი მანდილოსნები უცნაურადაც კი გამოიყურებიან. ბერგენი ნათელი, ხალისიანი ფერებით წარმოადგენს, როგორც ქალაქის შორეული ხეღის მოწავეთს, ასევე ხშირფოთლიანი ხეებით გარემოცულ ეზოს და სახე-მოდ გამოწყობილ ქალაქელთა ჩვეულ დროსტარებას.

თბილისის ხატის შექმნელად ხეღის სოფლის სხვა წერტილს ირჩევს იტალიელი მხატვარი ლევ ლაგორი. 1866 წელს შესრულებულ, საკმაოდ დიდი ზომის ფერწერულ ტილოზე თბილისი დანახულია ორთაქალის მხრიდან, გარეუბნიდან, სადაც მტკვარი ყველაზე მეტად იშლება. თითქმის მილიანადაა ნაწყვეტი თრიალეთის ქედის ფერდობებიც. ქალაქის ამ ორ მნიშვნელოვან ბუნებრივ დომინანტს შორისაა მოქცეული მემობრით დაფორთხილი ისინი პლატოს კლდოვანი ზოლი, სოლოლაკის მთა წარიყალიბა და ორთაქალის ახალი განაშენიანებით. შექმნილით ამტკველებული მონუმენტური მთა, მისი მილიანობის დაურღვეველად, ოსტატურად, ფაქტურულად გადმოცემული, წყნარად მომდინარე მტკვარი, ქალაქის მთავარი არქიტექტურული აქცენტების არამკვეთრი მოწოდება, მტკვრის პირას აღამაინათა პანაწინა თეთრი ლაქებით ნახვასამული გარემოს მასშტაბურობა, ნათელი, უღრუღო ცა და საერთო განონასწორებული, მშვიდი განწყობილება ქალაქის თავისებურად დანახულ საკმაოდ მნიშვნელოვან ხატს ქმნის.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული როლი მოუძღვის გრიგოლ გაგარისს. სწორედ მან მოხატა 1850-იანი წლების დასაწყისში სოფის ტაძარი, თბილისის პირველი თეატრის ინტერიერი და ფარდა. გაგარისი, ამის გარდა, არაერთი კულტურული ნაშრომების ინიციატორიც ვახლდათ. თბილისის თეატრის მოხატულობა ევროპაში საუკეთესოდ იყო მიჩნეული. «ეესტიბილში შევლისთანავე განმაცვივრა ორნამენტების სადა, დახვეწილმა სტილმა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს პომპეუსის თეატრის ვესტიბილში შევებოჯე. ზემოთ, ფოიემი, ორნამენტი არაბული ჩუქურთმით შეიცავდა. დარბაზი ფერიათა სასახლეს მოგაგონებდათ, არა მდიდრული მორთულობის გამო, არამედ იმიტომ, რომ უფაქიზესი გემოვნებითაა შესრულებული. ვინ იცის, მასზე ასი მანეთის ვარაყიც კი არ დაუხარჯავთ, მა-

გრამ უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ თბილისის სათეატრო დარბაზისთან თვალწარტყავი დარბაზი ჩემს სიცოცხლეში არასდროს მინახავს...» – ეს მანამერი ალექსანდრე დილმამ თბილისის თეატრის ნახვის შემდეგ გააკეთა. საქართველოში გატარებული 1848-1856 წლები გაგარისის შემოქმედებაში ყველაზე წარმოებით აღმოჩნდა. სწორედ ამ პერიოდში შექმნა სამი ათასამდე ნახატი, რომელთაგან უმეტესობა კავკასიასა და თბილისს ასახავს. გ. გაგარისის ნახატში «მიღობის ბაზარი თბილისში» ერთ-ერთი პანორამული ხედი გადმოცემული. მეტეხის ტაძრის, ბანიანი სახლების, შამისმაილის მისგითისა და დუქნების რიგის ფონზე მხატვარმა ადგილობრივი ბაზრის ჩვეულებრივი დღე წარმოადგინა – გაცხივრებული ვაჭრთა აღმოსავლურ დასავლური დოვლათით, განსხვავებულ კოსტუმებში გამოწყობილი სხვადასხვა ეროვნების ადამიანებით, ურბნით, აქლემების ქარავნით დატვირთული გარეშე... «ხანდახან თბილისში ერისა და იმავ დღეს ჩამოდიან ნეგოციანტები პარიზიდან, კურიერები პეტერბურგიდან, ვაჭრები კონსტანტინოპლიდან, ინგლისელები კალეკტადან და მანდარანდ, სომხები სმარინდან და იეზიდები და უზბეკები ბუხარიდან. ასე რომ, ეს ქალაქი ევროპად და აზიას შორის მთავარ საკანძო პუნქტად შეიძლება ჩათვალოს.» – წერდა გაგარმა, საფრანგეთის ერთ-ერთი კონსული თბილისში. სიზუსტით, შესრულების დახვეწილობითა და ოსტატობით გამოირჩეული გ. გაგარისის ნაწარმოებები ასახულის თავისებური გაიდეალებითა და გამომწვევლებით რომანტიკული მიმდინარეობის მხატვრის გემოვნებაზე მეტყველებენ.

რაც შეეხება გერმანელ მხატვარს რიჰარდ კარლ ზომერს, 1912-17 წლებში, თბილისში ჩამოსვლამდე, იგი შუა აზიაში მოღვაწეობდა. აქ გატარებულმა ათმა წელმა მნიშვნელოვან განსაზღვრავს მისი ინტერესების სფერო. ალბათ, ეს იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ზომერმა თბილისი მხოლოდ აღმოსავლურ ქალაქად დაინახა. თბილისის ამსახველი ნაწარმოებები, სადაც ყურადღება ცისფერ მისგითსა და მინარეთზეა გამახვილებული, არსებითად, აღმოსავლური ქალაქის განზოგადებულ ამონარიდს ემსგავსება. სინაილით გათვლილი ცხელ დღეს უბრალოდ ჩაცმული, ფავახიანი ადგილობრივი მამკადაინი ყმაველი სურათის ცენტრით აქცენტრებული შაპ აბასის მისგითის გავლით მეტეხის ხიდზე ერს მიერეკება. მთა, რომელიც მოშორებით მოჩანს და ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრული სახლები გაურკვეველ აღმოსავლურ ქალაქს მოგვაგონებს.

მეორე, ნაგრძელებული ფორმატის სურათში, სწრაფად მიმდინარე მტკვარში მდგარი მისგითისა და საცხოვრებელი სახლის უკან უღრესად მჭიდროდ განლაგებული სახლების არცთუ თანაბარი რიგები ზევით თვალწინდენულ მიუგებს ერწყმის. სურათში ყურადღებას რამდენიმე აშკარა არქიტექტურული მახვილი იქცევს: მინარეთის ვერტიკალი, მისგითის გუმბათები და შეისრული სარკმლები, რომლებიც მიუგებს შეფენილ დასახლებასთან ერთად ტიპური აღმოსავლური ქალაქისა თუ აულის შთაბეჭდილებას ტოვებს.



თუმცა სურათის ფერადოვანი ვადაწყვეტა თითქოს არ შეესატყვისება ცხელი, გამომშრალი, მოთეთრო-მოყვითალო აღმოსავლური ქალაქის ჩვეულ სახეს. ძირითადად მოყვითალო-მოვარდისფრო და მომწვანო-ფიროზისფერი, ნათელი, ნაზი, გამჭვირაველ ფერებით შექმნილი, არაჩვეულებრივად მეთანხმებელი, ფაქიზი კოლორიტი, ალბათ, თბილისური გარემოთი უნდა იყოს ნაკარნახევი.

სრულიად გამორჩეულია გიორგი გაბაშვილის ნამუშევრები. ორი სურათი, რომელიც უკვე სრულიად ჩამოყალიბებული, საკუთარი თვალთახედვისა და საკმაოდ განაფული ხელის შქონე ოსტატს ავლენს, 23 წლის გიგა გაბაშვილმა 1885 წელს შეასრულა. მას ჯერ არც პეტერბურგში ჰქონდა განათლება მიღებული და მით უმეტეს, არც მიუნხენში, თუმცა თბილისში იგი საკმაოდ კარგ მხატვრებთან კ. კეპენთან და ფ. რუბოსთან სწავლობდა. გაყვითლებული ფურცლის ცენტრში ფანქრით გამოსახული ქაოტურად შეჯგუფებული ფიქრული სახლების თითქმის აბსტრაქტიზმამდე მისული ცხოველბატული ჩანახატი, რა თქმა უნდა, ზუსტად არ გადმოსცემს ქალაქის ხასიათსა და განწყობილებას, მაგრამ მხატვრის უდავო ოსტატობასა და გემოვნებაზე მეტყველებს.

გიგა გაბაშვილის ფერწერული ტილო კი მზიან, მცხუნვარე დღეს, სახლებს შუა მთაში მიმავალ ვიწრო ქუჩას ასახავს. ეს ნაწარმოები იმდროინდელი ერთ-ერთი თბილისური ქუჩის ზუსტი სახეა, სადაც ერთმანეთს ენაცვლება ქვის ყრუ კედელი, მინარეთი, თბილისური დაკიდული რიკულებიანი აივნები... ქუჩაში ნაციონალურ სამოსში სხვადასხვა


ეროვნების ადამიანები მიდი-მოდინ. გიგა გაბაშვილი თავის ქალაქ უცხოელი ხელოვანის მსგავსად უყურებს. იგი არ ცდილობს თბილისის დაქვეითების სახის დანახვას. მისთვის მრავალფეროვანი ქალაქის ყოველი დეტალი თანაბრად მნიშვნელოვანია.

თბილისის ხედები, სხვადასხვა უბანი თუ ქუჩა, ბუნებრივია, რამდენიმე ადგილობრივმა სოქემმა მხატვრამაც დახატა. მათგან უფროსმა, არუთინ შამშიანიმა 1890 წელს რამდენადმე გულუბრყვილად გადმოსცა ძველი თბილისის „შიათი ბაზარი“ – მალალოზე უსწორმასწოროდ განთავსებული სახლების, სოფლებიდან ჩამოყვანილი ურმების, საფაქრო დახლებისა და ამ გარემოში მოფუსფუსე ქალაქელების ცოცხალი, ხალისიანი ფერებით ვადაწყვეტილი, რამდენადმე მუტაფორიული გარემო.

მაღალი მხატვრული ღირსებებით და შესრულების ოსტატობით არც გ. შარაბაძის სურათები გამოირჩევა. იგი, უპირატესად, თბილისელი სომხების გარემოსა და ყოფას გადმოგვცემს. სახლებითა და ადამიანებით დატვირთულ კომპოზიციებში ყოველთვის გამოყოფილია ეკლესია. სწორედ საეკლესიო დღესასწაულების, მაგალითად, ფეთხაინობის, აღსანიშნად მორთულ-მოკაშმულან სომხური ოჯახები, განზოგადებულად და ამავე დროს, ეთნიკური ნიშნების ხაზგასმით, მჭახე, ფართო ლოკალური ლაქებით დანერილი გარემო საკმაოდ დაცვილებულია ადგილობრივ, ქართულ მხატვრულ გემოვნებას, მაგრამ არაა მოკლებული ექსპრესიულობას და თავისებურად მეტყველია. გ. შარაბაძის, როგორც ჩანს, თანადროული ევროპული მიმდინარეობების მიბაძვას ცდილობდა.



უცნობი მხატვარი, „მწინდა გიორგის ეკლესია“, ლითოგრაფია, XIX ს. Anonymous artist, St. George's Church, lithograph, 19th century



XX საუკუნის 10-20-იან წლებში სამი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული მხატვარი დაინტერესდა თბილისის ყოფის ასახვით. მათ ყურადღება ქალაქის იმ უბნებს მიაქცევს, სადაც აზიური სამყაროს ნიშნები ქარბობდა და თბილისური ბოჰემის, დაბალი სოციალური ფენებისა და ყარაჩხველთა ცხოვრება ჩქვფდა. გარდა თემატისა, ამ მხატვრებს ასასახავი თემისადმი თითქმის მტკიცე, თუმცა განსხვავებული სიმძაფრის, იუმორისტულ-კარიკატურული აღქმა აკავშირებდათ. ეს გარემო ყველაზე ახლობელი, თბილისის მკვიდრი, ხელოსნების ფენიდან გამოსული ვანი ზოჯაბგოვიტოვის იყო. გაცივებს იწვევს ამ თვითნასწავლი მხატვრის მიერ ქალაქზე ფანქროთ, ძალიან უბრალოდ, ოსტატური, უმეტესად დაძაბული კონსტრუირებული ფაქტობრივად, გარემოს მიუნიშნებლად დახატული სახასიათო, მეტყველი და გროტესკული სცენები, რომლებიც ყარაჩხველთა და ნერილ ვაჭართა ცხოვრებას ასახავს.

თბილისის მკვიდრი იყო გერმანელი მხატვარი ოსკარ შმერლინგიც, რომელმაც განათლება პეტერბურგსა და მიუნხენში მიიღო. კარიკატურისტიკის მახვილი თვალით დანახული ქალაქის ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი სხვადასხვა სიუჟეტი რეალისტური მხატვრის განაფული ხელათა შესრულებული. კარიკატურულობას ძირითადად თითოეული ეპიზოდის, ცალკეული პერსონაჟის ნაკეთების გაზვიადებული დახასიათება განაპირობებს. შმერლინგის ჩანახატებშიც ნამყვანი როლი სილუეტის შემომწერ აქტიურ კონტრულ ხაზს ენიჭება, შემავსებელი მავორული, მკვეთრი ფერები კი ამ იუმორისტულ კომპოზიციებს კიდევ უფრო ახალისებს.

XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს საფრანგეთიდან თბილისში ჩამოსული პოლონელი მხატვრის ბორის რომანოვსკის „ძველი თბილისის“ გრაფიკული სერია კი უფრო ეპოქის თანადროული, მოდერნისტული ხედვის ნიმუშია. მისი ნამუშევრები მრავალფეროვანია, როგორც ფორმის გადანეკვრის, ასევე განწყობილების მხრივ. მხატვარი ცდილობს ზუსტად აღებჭფოს მისთვის უადრესად გზოტიკური გარემოს არა მარტო ცალკეული მონაკვეთი, არამედ ყოველი არსებული ნერილმანი. ხაზგასმით დეფორმირებული და უტრირებული, მკვეთრი კონტურით შემოსაზღვრული პლასტიკური ფორმებითა და დეტალებით მთლიანად შევსებული სიბრტყეები განსაზღვრავს თითოეული ფურცლის დეკორატიულობას, რასაც ამ ნაწარმოებების მკვეთრ ლექათა აქცენტებზე აგებული ფერადოვნებაც ხელს უწყობს. ამ გროტესკული გარემოს ექსპრესიულობას მეტად ამძაფრებს თითქმის მოულოდნელად შემოჭრილი კადრები. ბ. რომანოვსკისთვის ისევე, როგორც ნანილობრივ ო. შმერლინგისთვის, დეკორივებითა და გულდასმით შესწავლილი თბილისი მაინც უცხოელის მიერ მხოლოდ გარედან დანახულ გარემოდ დარჩა.

1926 წელს თბილისის კომუნალური მუზეუმის ინდრიონდელმა ხელმძღვანელობამ ქართველ

მხატვრებს ძველი და ახალი თბილისის ხედვებს ამსახველი ზუსტი, გულდასმითი ნაწარმოებების შექმნა დაუკეტა. ამ ნამოწყვანში, რომლის ძირითად მიზნსაც ძველი თბილისის დოკუმენტური ასახვა წარმოადგენდა, მონაწილეობა 1926-30-იან წლებში თბილისში მოღვაწე თითქმის ყველა მხატვარმა მიიღო. ალბათ, გასაკვირი არაა, რომ გამოჩენილი ავანგარდისტი დავით კაკაბაძე თბილისის ბედით გაცილებით ადრე დაინტერესდა და 1918 წელს, პარიზში წასვლამდე, ძველი ქალაქის ამსახველი ცამეტი გრაფიკული ნამუშევარი შექმნა. დავით კაკაბაძის მიერ შესრულებული სურათები, ჩვეულებრივად, ერთი სერიას ქმნის. ცამეტი ერთი და იმავე ზომის ჩანახატით მხატვარმა, როგორც ჩანს, ამოწურა თავისი სათქმელი. ყოველი სურათისათვის მიზნმიმართულად არის მოქმენილი ხედი, ქუჩის მონაკვეთი, კონკრეტული სახლის გარემოცვა და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები. ის ხან უახლოვდება კონკრეტულ ობიექტს, ხან კი შორიდან ხატავს. დავით კაკაბაძე ხატავს უკაცრიელ ქალაქს, სადაც არ არსებობს სიცოცხლის ნიშანსალი. თითქმის, ჯერ არგალევიძებული, ან სულაც მიტოვებული ქალაქია. ნინა პლანი, სადაც სახლებია დახატული, მოკლებულია სიმწვანესაც, მხოლოდ ქუჩებს მიღმა, შორს, მთების ძირში, აქა-იქ მიმოზნული რამდენიმე ხე-თითოეულ ჩანახატს ნერილი კონსტრუირ შემოვლებული, რამდენადმე ზერულედ დაშტრისული მთაგორანი ლანდშაფტი და ფაქიზად მონიშნული ტუნსი ღრუბლები ასრულებს, რადგან არსებითი აქ ძველი თბილისური სახლების, დეკორატიული, შკიადული



ბ. ფრანკელი „თბილისი. ავლაბარი“, მ. ულფერის ლითოგრაფია, XIX ს-ის 50-იანი წლები P. Franken, Avlabari, M.Ulpher's lithograph, the 1850s




აივნების, უსწორმასწორო ქუჩების, ჩამონგრეული კედლებისა თუ აყრილი ქვაფენილების ცხოველხატულობაა. ერთი მხედვით, საოცარი გომეტრიული სიზუსტის მიუხედავად, ყოველი ხაზი ოდნავ იღუნება, რაც შემპარავად ამტკველებს ნახატს. მხატვარი ქალაქს ისედაც ცოცხალ ორგანიზმად აღიქვამს და მას, თითქოს, სხვა აღარაფერი სჭირდება. თითოეული ფურცლის კადრულობის მიუხედავად, გარკვეული, დატვირთული, ამომწურავი კომპოზიციები აღარ საჭიროებს გავრცობას და თავის თავში იკეტება. ეს ერთგვარი „ჩაკეტილი კადრებია“. ყოველი ჩანახატის ხიბლს მომგებიანად მონახული ხედვის ნერტილი, არაჩვეულებრივად აგებული, განონასწორებული, მდგრადი კომპოზიცია, სახლებისა და ქუჩების გარემოცვის საუკეთესოდ ნარმოჩენა განაპირობებს. ეს მკაცრი, ცარიელი, გარინდული ქალაქი, განსაკუთრებულობისა და მნიშვნელოვნების გრძნობას აღძრავს. დავით კაკაბაძის ბუნებისთვის, მისი შემოქმედებითი აზროვნებისათვის დამახასიათებელი ლაკონიურობა, ერთგვარი მინიმალიზმი, სახვითი ხერხებისა და საშუალებების საოცარი სიძუნწე და სიზუსტე თავისდაუნებურად ეხმარება თანადროული ავანგარდული ხელოვნების ხასიათს.

ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც თბილისის ჩახატვა დაიწყო, ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, დავით გველესიანი იყო. მისი გრაფიკული ჩანახატები უფრო რეალისტურია და ეირატორული შესრულებითაც გამოირჩევა. ძველი ქალაქის

დასახასიათებლად მას გაცილებით მეტი დეტალი სჭირდება – ყოველი სახლი უკიდურესად ამოწმწმკვავადა დახატული კედელთა ნყოფის, ორნამენტული აივნების, კარ-ფანჯრების, სახურავების, ძელების, ბურჯებისა თუ სვეტების ზუსტი, ფაქტურული თავისებურებების ხაზგასმითა და გამოკვეთით. ყოველი ხედი, რა თქმა უნდა, მასთანაც წინასწარ არის შერჩეული, მაგრამ მხატვარი თითქმის არაფერს ცვლის, ხატავს ისე, როგორც ხედავს. მისი სახლები, მოედნები და ქუჩები საკმაოდ დატვირთულია იმისა და მიხედვით, თუ რას კარნახობს რეალურად არსებული, კონკრეტული გარემო. ზოგჯერ იგი ადამიანებს, განსაკუთრებით კი ბავშვებს რთავს, ხანაც ძველი ქალაქის აუცილებელ ნიშნად ფაქტად დახატული წერილფითლოვანი მოლუნულტანიანი ხეები გვევლინება. დავით გველესიანის თბილისი, როგორც წესი, მზის სხივებითა განათებული. კაშკაშა სინათლე მისთვის ამ სივრცის არსებითი მახასიათებელია და უკეთ აჩენს მხატვრისათვის ძვირფას გარემოს. ამავე მიზანს ემსახურება ჩრდილიც, რომელიც სახლებიდან თუ ხეებიდან ეცემა. ერთიანი მხატვრული ხედვის მიუხედავად, რომელსაც რეალისტურად შეიძლება ეწოდოს, მის ზოგიერთ ნაწარმოებებში ხან იმპრესიონისტული, ხან კი ექსპრესიონისტული ნიშნები ჭარბობს.

იმავე სახლებსა და ქუჩებს, როგორც ჩანს, ხშირად დავით გველესიანთან ერთად, ალექსანდრე ციმაკურიცე ხატავს. ამ ორ მხატვარს ბევრი აქვს



„მაიდანის“, გ. გაგარინის ჩანახატის მისი, ქ., მუყ., ფ., XIX ს-ის შუა წლები
Maidani, according to G. Gagarin's sketch, pencil on paper, cardboard, mid-19th century



საერთო, როგორც მხატვრული ხედვის, პროფესიული განმანველებლობის, ასევე ტრადიციული გემოვნებისა თუ განწყობის თვალსაზრისით. ისეთივე ვულგარობა-ბრტყობა და გატაცებით აღბეჭდავს ა. ციმაკურიძე ძველი სახლების აურულ აივნებს, ჩამოცვენულ კედლებს, მიკრანყულ თუ მინაწილ ქუჩებს, მაგრამ დაკვირვებისთვის მას მეტი მანძილი, სივრცე და პერი სჭირდება. უაღრესად გააზრებული, გამძლავ, თავისუფალ კომპოზიციებში, ყოველი ქუჩისა თუ სახლის სტრუქტურული ნიჟარა და რიტმულობა იგრძნობა, რაც გარემოს ზომიერსა და განორნანსორებული ხდის. მისეული თბილისიც მზითავა განათებული, თუმცა განათება ერთდროულად თბილიცაა და ცივიც ისევე, როგორც ერთი შეხედვით ზომიერი კოლორიტი, რომელიც სინამდვილეში კონტრასტულ ფერთა თავისებური, დელიკატური ურთიერთგათავისობის ნიშნით არის აგებული. შენობებსა და მინაზე დაცემული ათინაი და ჩრდილთა უფაქიზესი ბადე მტვად ააშკარავებს გამოსახულს. თითქმის თხივლისი ფუნჯით დაწერილობაზეა გადამოცემული გარემო შუქჩრდილისა და პერიის მოძრაობას უწყობს ხელს. ა. ციმაკურიძე მშვიდად ემოციური მხატვრია, რომელიც თბილი, ნაზი და გამჭვირვალე კოლორიტით მაქსიმალურად ფაქიზ გარემოს ქმნის. ამ, ალბათ, საუკეთესო ნაწარმოებებში, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ადრეული თუ მომდევნო პერიოდის ნამუშევრებისგან, საუკეთესოდ გამოიხატა მისი შემოქმედებითი თვალთახედვის არჩევანი. იგი უდავოდ იმპრესიონისტული მხატვრობის ტენდენციების გამხარბეული ქართველი ფერმწერია.

ძველი თბილისის თვითმყოფადი ხასიათის გადმოსაცემად ზემოსხეხულ მხატვრებისთვის მნიშვნელოვან ნიშნებსა და თავისებურებებს ანიჭებს უპირატესობას კიდევ ერთი მოდერნისტი მხატვარი – ვალერიან სიდამონ-ერისთავი. თუმცა ეს უფრო სიდამონ-ერისთავის გრაფიკული ფურცლებსაა შესახებ ითქმის. მის მიერ ოდნავ მოგვიანებით შექმნილი, ნათელი და ფაქიზი ფერებით, სადად, უბრალოდ, დახეული გემოვნებით გადმოცემული ქალაქის სხვადასხვა უბნის ცხოვრება, რბილი, მსუბუქი უმოძრაობა გაუღვლილი.

გამორჩეულია მოსე თოიძის ძველი თბილისიც. მის ნაწარმოებებში მკვეთრადაა გამოვლენილი ეს-პერიმენტატორი მხატვრის ხასიათი და უფრო თამაში, დროის შესატყვისი, ინდივიდუალური ხედვა. მის თავისებურ, ზოგჯერ ფანტაზიით შექმნილ უჩვეულ ქალაქში ძველი სახლებით გარემორტყმულ ქუჩებს სადაც სიღრმეში, გაურკვეველ ადგილას მიეყვარა, რამდენიმე ნამუშევარი ქალაქის მორეულ, დატვირთულ, პანორამულ ხედს გვიჩვენებს. განათებული, მკვეთრი მახელებით ამეტყველებული, ხშირად საღამოს ბინდით მოცული გარემო, ჩადრებსა და გრძელ სამოსში გახვეული ფიგურებით, გაურკვეველი, იდუმალებით მოცული ქალაქის განწყობას გადმოცემს. ზოგიერთი ნამუშევარიში რეალური გარემოს თავისებური გაზვიადების შედეგად და ფანტაზიის წყალობით მხატვარი ფერად, ლამაზ, დეკორატიულ სცენებს ქმნის. ამ დროის უკლებლივ ყველა ნაწარმოებში მხატვრის-

თვის არსებითი ფერითი მტყველებაა. მხატვარი ძლიერი ხელით, სხვადასხვა სისქის საღებავს ფერის თამაში, ფართო, თავისუფალი მონათხრობით მოწინააღმდეგე ძირითად ფორმებს. კონტურის გარეშე დაწერილი, კონტრასტული შუქჩრდილის სიმძაფრის ხაზგასმით, მკვეთრი, აქტუური, თითქმის ერთმანეთს შეუთავსებელ ფერთა მონაცვლეობაზე აგებული კოლორიტი თანადროული ავანგარდული ენის თვისებაა, რომელიც შემდგომ მხატვრის შემოქმედებით, საშუალოდ, აღარ მორდება. ფერალეანი გადაწყვეტის სითამაშით თოიძის ზოგიერთ ნაწარმოებს ქართულ ფერწერაში 1950-იან წლებამდე, შეიძლება ითქვას, პარალელურ არ მოუძებნება. თბილისის ამსახველი ეს ნამუშევრები XX საუკუნის დასაწყისის ევროპული მხატვრობის ფოქისტური მიმდინარეობის წარმომადგენლებს – მორის დე ვლამინს, ალბერტ მარკეს და სხვათა ქმნილებებს ეხმარება. 1926 წელს შექმნილ „ადაბასანის შესახებვემ“ კი, ქალაქის ძირითადი ფორმების გადმოცემ ფართო, ფერადოვან, აბსტრაქტულ მონათხრობს კონკრეტულად დაწერილი ფორმები ენაცვლება. ქალაქის ხედის ექსპრესიულობას სწრაფად ეს სწრაფი, დინამიური მონათხრობი განაწარმობს.

1927 წლიდან ძველი თბილისის ხედების ხატვას ბორის ფოგელიც იწყებს. მხატვრის ნაწარმოებთა ფერწერულობას უპირატესად დაბალი პერიზონტიდან დანახული ხასხასა, ზოგჯერ ცხელ ფერებში და მკვეთრი განათების გადმოცემული ქალაქის მქიდროდ გამგნებელი სახლები და მიხვეულ-მოხვეული ქუჩები ქმნის. ფოგელი სახლებს მენტრილად ძალიან ახლოდან ხატავს – ხან ზევიდან ქვეით დაჟვურებს, ხანაც პირიქით. რა თქმა უნდა, ბორის ფოგელსაც ბიძლავს ძველი თბილისის სახლების თვითმყოფადი ხასიათი და თავისებური განაშენიანება, მაგრამ არსებითი მისთვის მარცხ უცხო თვალთ დახანხული, ქართველ ხელოვანთათვის უჩვეულო, ზოგიერთ ნამუშევარში რამდენადმე მშრალი, მჭახე კოლორიტია. თუმცა ეს, ალბათ, XX საუკუნის ევროპული მხატვრობით გატაცებას უფრო მიეწერება, ვიდრე უცხო ქალაქის ხასიათის ევრწედლობას და ვერგაგებას. მით უმეტეს, რომ როგორც ცნობილია, საქართველოში ჩამოსვლამდე ფოგელმა სამხატვრო განათლება მოსკოვსა და პარიზში მიიღო.

XX საუკუნის დასაწყისის ქართული ავანგარდული მხატვრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის კრილი ზედაცივის თბილისური ზეზნავი თანადროულ მიმდინარეობათა გაზიარებითაა შესრულებული. სწრაფი, თავისუფალი, ენერგიული მონათხრობით დახატული ძველი თბილისის მარჯვლად სანაპიროს ხედი წინასწარმოფიქრებული, რაციონალური გააზრების ნიშნებია. კომპოზიციის აქცენტირებულ, მტკიცე, ძლიერ არქიტექტურულ დომინანტებს მიზანდასახულად გაურბარლებული, გამართვებული მცირე ზომის სახლებს, ეკლესიებსა და მთის სილუეტები ენაცვლება და აგრძელებს. ძლიერ ფორმათა მახელებით და გამართვებული, დაქვემდებარებული გარემოს შემოისპირებული ერთიანობა უაღრესად თავ-



მამი, შეიძლება ითქვას, მძაფრი, კონტრასტული ფერების თანაარსებობით მიიღწევა, რაც წანარმოების დინამიკურობასა და ექსპრესიულობას განაპირობებს. თანამედროვე სიმბერი მხატვრების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის მარტინოს სარიანის ძველი თბილისისადმი მიძღვნილი ნანარმოები 1917 წელსაა შექმნილი. ძველი ქალაქიდან ამოღებული კადრი თბილისის არსებითი, თვითმყოფადი მახასიათებლების დანახვის მცდელობას კი არ წარმოადგენს, არამედ მორგებულია ამ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებულ მხატვრულ ავანგარდულ სტილს. სურათის გარკვეულ, ლაკონურ კომპოზიციაში გამოცემულია განზოგადებული, გაუბრალოებული გარემო. მინიერ, მაკორულ, ინტენსიურ, სუფთა ლაქათა კონტრასტებზე აგებულ გამოსახულებებში განსაზღვრული ფერთი მეტყველებაა. მართალია, ჩანს ქალაქისათვის ნიშანდობლივი დეტალების შენარჩუნების სურვილი, მაგრამ მხატვრული, უმეტესად, მაინც მხატვრის ფანტაზიის ნაყოფით წარმოდგენილი აღმოსავლური ქალაქია.

თბილისის თავისუფალ და თავისებურ ინტერპრეტაციას იძლევა საფრანგეთში ემიგრირებული ფალოეს ვარლამიშვილი. ეს არის მხატვრის მოგონება თავის ქალაქზე. მოგონება, ნანარმოების საერთო გადწყვეტის ერთგვარი სიმსუბუქის მიუხედავად, საკმაოდ დატვირთული. ეს არის თბილისის ძირითადი სახე, მისი არსებითი მახასიათებლების წარმოჩენით, დღეს უკვე აღარარსებული დეტალების დამატებით, თავისებურად, მიზანდასახულად პრიმიტიული და ხაზგასმულად უტყირებული, თითქოს ფილოსამინით გახსენებული თბილისი, მისი თეთრი მწირი სუფრით წინა პლანზე, ისეთივე მომსახურე ბიჭებით, ნიკალას გაფორმებული დუქნით, ლურჯი ყინულიანი კავკასიონით, იმგვარივე მძიმე, მუქი ლურჯი ციხე და კიდევ ბევრი სხვა ნიშნით... ამასთან ერთად, გარეგნობასა და ხასიათში გამოვლენილი ტიპური იმერული მოქიფებები, იმერული სიმკვირცხლითა და სიმსუბუქით, რასაც ქართველის გარდა, სხვა ვერაირი გაიგებს. ვარლამის ხედავ ჩანს გაკრული ხელით, ფუნჯის ოდნავი შეხებით მონიშნულ სახლების, ეკლის, ადამიანების, ცხოველების თუ სხვა დეტალებშიც. დიდა ვარლამის უტყირების მასშტაბი. წარმოდგენილია, რა აკავებთ კლდეზე დაკიდულ სახლებს, გადაქანებულ ეკლესიას ან რამდენი სიბოძა და იუმორი თოჯინების სახლებს დამსგავსებულ შენობებში, ნარიყალასა და მამადიათში. მოადრინისტული ერთი დანერვილი ეს სურათი ფილოსამინისეული სიღრმის მოგონების და ვარლამის იმერული ტემპერამენტის ნაზავია.

რუსეთთან შეერთების შემდეგ, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ძირითადად რუსთაველისა

და აღმამენების გამზირებზე ზოგადეგროპული სტილების მიდევნებით ამენებული თვალსაჩინო საზოგადოებრივი ნაგებობები თუ საცხოვრებელი სახლები ქართულ თუ უცხოელ მხატვრებს აყრადღების მიღება დარჩა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოსულ უცხოელ მხატვართა ნაწილი თბილისის ძველი კულტურული ტრადიციების მქონე ქალაქად მოიხარება და ცდილობს, უპირატესად, მისი მნიშვნელოვანი, მთლიანი, პანორამული, რამდენადმე განზოგადებული სახის გადმოცემას. შედარებით გვიან ჩამოსული მხატვრები, ქალაქში უფრო აზოური სამყაროს ნიშნების, თბილისის ბოჰემის, ყარაჩოხეთა და კინტოთა ცხოვრების ასახვაზე ამხვილებდნენ ყურადღებას. ქართველი მხატვარი თავისი ქალაქის ხიბლსა და თავისთავადობას მის თავისებურ, ფერდობებზე შედგენილ სახლებში, მჭიდრო განაშენიანებაში, ლანდშაფტ მორგებულ, მიხეულ-მიხეველი, უსწორმასწორო ქუჩების, ზოგჯერ აყრილი ქვაფენილების, ხან კი ჩამონგრეული კედლების ცხოველბატობაში ხედავს და უპირატესობას სახლების სრულ დახასიათების ანიჭებს - აზიდულ, თხელი პროპორციებით გამორჩეულ, რიკულებთან, ჭკირულმოაჯირიან და გრეხილსკენებთან აიხრებს, ხან კი მუშაობით მორთულ შუშბანდებს. ქართველი მხატვარი ძირითადად საცხოვრებელ სახლებს და მის უშულო გარემოცვას ხატავს. ძვირფასი მისთვის სწორედ ესაა ქართველი, ალბათ, აქ უფრო მძაფრად ჩრმობს ქართველი მხატვრული გემოვნების ნიშნებს: უბრალოებას, სისადავეს, სიმყუდროვეს, კამერულობას, ერთგვარ კეთილშობილებას, გახსნილობას. ამგვარი მთავარიანი ლანდშაფტი ვერც გუიობს სხვაგვარს. ქართველი მხატვარი, როგორც საერთოდ ნებისმიერი პეიზაჟისტი, სამშობლოს ხატს განსაკუთრებული გულწრფელობით გადმოსცემს. თუმცა, ალბათ, კვლავაც ქართული ხასიათიდან გამომდინარე, ემოციური განწყობა ქართველთან, როგორც წესი, ნაკლებად თვალშისაცემია. დ. კაკაბაძესთან, ა. ციმაკურიძესთან, დ. გველესიანთან თუ მათგან სრულიად განსხვავებულ ფილოსამინთან ეს ღრმა, თავემკავებული გრძნობაა. ლადო გუდიაშვილის ნიჭიერად და ზუსტად მოქმენილი, ავანგარდისტული ხედვის შესატყვისი, მისთვის უაღრესად ახლობელი თბილისის ბოჰემის ამხსაველი სცენები, თავისებურად გაზვიადებული და სტილიზებული ფიგურებით, გარგნულად თითქოს ექსპრესიულია, თუმცა ამავე დროს შინაგანად თვდაჭერილი. ამ მხრივ, სრულიად განსხვავებულია ელენე ახვლედიანი თავისი დაუფარავად ემოციური ადამიანებთა და მათ თანამხიერად ამოძრავებული სახლები და პეიზაჟებით.

Tbilisi in the Works of Georgian and Foreign Artists 1850-1940



Cities, like nations and individuals, have their own biographies. Historical cataclysms leave an indelible mark both on the appearance of each city, as well as on the psyche and national identity of its residents. Tbilisi's architectural appearance and colour gamut reveals much about the character and personality of the Georgians.

Tbilisi, located on the crossroads of the east and west, is one of the most ancient cities in the world. The unique geopolitical position has since the earliest times determined the fate of this city. Various invaders, such as the Romans, the Byzantines, the Arabs, the Turks, the Khwarazms, the Persians and the Mongols strived to get hold of the Silk Road, a caravan route between the east and west and a main linking Russia with the Near East. Each period and each ethnic group left its trace on the customs and traditions, the language and dialects, appearance and temperament of the Georgians and their culture, in general. Tbilisi, many times razed to the ground during its sixteen-century old existence, managed to restore and preserve the main features of its national character. And this was thanks

to the ability of Georgians to adopt and sustain the elements of contrasting cultures. The openness and ability to accept foreign traditions determined the polyphony of Georgian culture in general. The same also served as the main source of the vitality of the city.

Tbilisi was a city where the east and west with their contrasting cultures coexisted. This is what surprised foreigners. There was certainly something unusual about this city, hard to perceive for its guests, a feature that further stirred up their interest.

No traveller, scholar or artist, who had once visited Tbilisi, remained indifferent to the city. Many of them, including Pitton de Tournafort, Jean Chardin, M. Lermontov, M. Ivanov, N. Chernetsov, tried to examine and evaluate its character either with a pen, a pencil or a brush. The interest towards Tbilisi as a subject-matter of paintings and drawings grew from the early 17th century. After Georgia's unification with the Russian Empire, more people expressed a wish to get acquainted with an exotic, centuries-old country. Apart from those forcefully exiled to



უცნობი მხატვარი, „თავად ბარიატინსკის შემოსვლა თბილისში 1856 წელს“, გრაფიკა, XIX ს.
Anonymous author, *Entry of Noble Bariatinski in Tbilisi, 1856, engraving, 19th century*

"Southern Siberia", there were foreign visitors who came to the country by their own wish

In the 1850s, the European artists, referred to as late Romanticists, headed for various regions of the Russian Empire to learn more about the exotic nature and the people's lifestyles. A German couple, Paul von Franken and Helene Franken, both of them artists, came to Tbilisi via Petersburg. Paul von Franken, also referred to as the *Caucasian artist* in the works by art critics, remained in Georgia up to the year 1860.

September 10, 1795 marked the most tragic page in the history of Tbilisi. The Persian Governor Agha Muhammad Khan approached Tbilisi. "Tbilisi was razed to the ground. All houses and bridges were burnt down... Only noble Bebutov's house escaped the fire. The Persians continued to plunder the city for six days..." (N. Dubrovin, 19th century). The only painting depicting the devastated city, which survived to our day, was made by Paul Franken. Being a typical representative of Romanticism, he showed keen interest in space and nature seen from distance. The emphasis is given to the central, most contrasting part of the picture – the fume rising from the burnt city towards the clear sky. The tragic and disturbed atmosphere is represented by means of a cloudy-like mass painted with chaotic brushstrokes and thick, cloudy-like masses of mixed, penetrating paints. The cause of the tragedy, which also affected the nature, originated on the earth, under the non-cloudy sky. The contrast is achieved by the division of the space into two parts by the river, and by the difference between the city set on fire shown against the background of almost black mountains and a group of people having


escaped from the city, depicted in a more joyful manner. Everything on the earth seems to be less emotional and disturbed as compared with the sky

